დასკვნა

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-10 კმ-ზე,
„მიონის“ კოშკთან მიმდებარე ყოფილი ბიოქიმიის
ინსტიტუტის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

შპს „არტსტუდიო პროექტის“ დაკვეთით შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე, „მიონის“ კოშკთან მიმდებარე, ყოფილი ბიოქიმიის ინსტიტუტის შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

აღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა დაკავშირებულია რეკონსტრუქციის ჩატარებასთან (გათვალისწინებულია ერთი სართულის დაშენება).

შენობის და მისი ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლა მოხდა ვიზუალურად (დათვალიერებით), ამასთან:

ძირითადი კონსტრუქციული სქემის, დეფორმაციების და ბზარების წარმოქმნისა განვითარების სქემის დადგენის მიზნით, ფასადის და სათავსოების შედარებით მეტად დაზიანებული კედლებიდან მოცილებული იქნა ნალესის ფენა;

სიტუაციური გეგმა



შენობა გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 45X17 მეტრი. 4 სართულიანია, სარდაფით. სართულის სიმაღლე 4 მეტრამდეა. ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის გრძივი მზიდი კედლები, განლაგებული 6,4+3,8+6.4 ბიჯით. სამხრეთის მხარეს, ბოლოში, შენობის ნაწილი (გეგმაში ზომებით 3X10 მ.), სამ სართულამდე, მონოლითური რკინაბეტონის კარკასისაა.

სართულშუა გადახურვებში და სახურავში ძირითადად გამოყენებულია ანაკრები ღრუტანიანი რბ-ის პანელები, ხოლო შუა ნაწილში (3,8 მეტრიანი მალი) კი მოწყობილია მონოლითური რბ-ის ფილები.

სახურავი ორქანობიანია მოწყობილი რბ-ის ღრუტანიან პანელებზე.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად შენობა დაფუძნებული უნდა იყოს ნახევრადმყარ, ძნელად პლასტიკურ თიხაზე წინაღობით კუმშვაზე 2,6კგ/სმ^2.

გამოვლენილი ნაკლოვანებები:

1. სამშენებლო ნორმებისა და წესების პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“

მუხლი 6-ის, მე-2 პუნქტის თანახმად შეზღუდულია აგურის შენობების სართულიანობა. კერძოდ: დაარმატურებით გაძლიერებული კედლის წყობის შემთხვევაში მაქსიმალური სართულიანობა არის 4, ხოლო კედლის წყობის გაძლიერების გარეშე – 3.

ამდენად არსებული შენობა დაშენების გარეშეც ვერ აკმაყოფილებს სეისმომედეგი მშენებლობის მოთხოვნებს.

2. იგივე ნორმების თანახმად მუხლი 15-ის, მე-12 პუნქტის თანახმად განივ კედლებს ან მათ შემცვლელ რბ-ის ჩარჩოებს შორის მანძილი დგინდება ანგარიშით და არ უნდა აღემატებოდეს 9.0 მეტრს. ჩვენ შემთხვევაში კი ეს მანძილი მნიშვნელოვნად მეტია.

3. აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების 1-ლი და მე-2 სართულების კედლებზე (ძირითადად ფანჯრების ქვეშ) აღინიშნება 2 მმ-მდე სიგანის გახსნის დახრილი ბზარები (იხ. სურ. 1,2,3 და 4). ამ ბზარებს ლოკალური ხასიათი აქვს და მასიურად არ ვრცელდება.

4. მონოლითური კარკასის განაპირა მარჯვენა კოლონა თავისდროზე ჩასხმულია უხარისხოდ. საჭიროებს გაძლიერებას (იხ. სურ. 5 და 6).

5. ზოგ ადგილებში გაშიშვლებულია და კოროზირებული მუშა არმატურა (ძირითადად სარდაფის გადახურვაში იხ. სურ.7).

6. 1-ლ სართულზე, კიბის უჯრედში ჩამჯდარია გრუტი და დაწეულია კიბის კოსური (იხ. სურ.8).



სურ.1



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.7



სურ.6



სურ.8

დასკვნა

შენობის საექსპლუატაციო საიმედობის ამაღლების მიზნით რეკონსტრუქციის განხორციელებისას საჭიროა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში გათვალისწინებული იქნას სათანადო ღონისძიებები აღნიშნული ნაკლოვანებების გათვალისწინებით.

გაძლიერების სათანადო ზომების მიღების შემდეგ შენობაზე შეიძლება დაშენდეს ერთი სართული, ფოლადის მსუბუქი პროფილებისგან გათვალისწინებული მზიდი კონსტრუქციების, სენდვიჩპანელების ტიპის საკედლე და სახურავი მასალის გამოყენებით.

ექსპერტი
ინჟინერ-კონსტრუქტორი

ნოდარ გეჯაძე
ngejadze@mail.ru
ტ. 599 96 31 53